

საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება

თეა კვაბზირიძე¹

<https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10282>

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ ძირითადი სამართლებრივი მექანიზმების, საინვესტიციო ლიმიტებისა და რისკების მართვის არსებული სტანდარტები. კვლევა მიუთითებს იმ აუცილებლობაზე, რომ რეგულაციები იყოს დინამიურად ადაპტირებული გლობალური ფინანსური სტანდარტებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად. ყურადღება გამახვილებულია ციფრული პლატფორმის მნიშვნელობაზე, რაც საქართველოში ბანკების საინვესტიციო პრაქტიკის მომავალი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. საკრედიტო ინსტიტუტებისთვის ციფრული ფინანსური აქტივების საინვესტიციო პლატფორმებზე განთავსების უფლების მინიჭება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაბიჯია მათი კაპიტალიზაციისა და შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. ეს არა მხოლოდ გააძლიერებს ბანკების ფინანსურ სტაბილურობას, არამედ ხელს შეუწყობს მთელი ფინანსური ბაზრის ინოვაციურ განვითარებას.

სტატია მიმოიხილავს საქართველოს საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას, განსაკუთრებული აქცენტით მის როლზე ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში, დეპოზიტორებისა და ინვესტორების ინტერესების დაცვაში და ფინანსური დანაშაულების პრევენციაში. ანალიზი ასახავს რეგულირების ისტორიულ განვითარებასა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემოღებულ მექანიზმებს, მათ შორის საინვესტიციო ლიმიტებსა და რისკების მართვის სტანდარტებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ციფრული ფინანსური აქტივებისა და პლატფორმების მზარდ მნიშვნელობას, რომლებიც ბანკების საინვესტიციო პრაქტიკისა და ფინანსური ბაზრის ინოვაციური განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ ფაქტორად ყალიბდება.

კვლევა ხაზს უსვამს აუცილებლობას, რომ რეგულაციები დინამიურად ერგებოდეს გლობალურ სტანდარტებსა და მდგრადი განვითარების პრინციპებს, ამასთან უზრუნველყოფდეს ბანკების კერძო ინტერესებისა და ფართო საზოგადოებრივ-ეკონომიკური მიზნების ჰარმონიულ ბალანსს. ასეთი მრავალმხრივი მიდგომა ხელს უწყობს უფრო ღრმა გაგებას, თუ როგორ შეიძლება ეფექტურმა სამართლებრივმა რეგულირებამ ერთდროულად უზრუნველყოს, როგორც ფინანსური სტაბილურობა, ასევე ინოვაციური განვითარება, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს საბანკო სექტორის მდგრადი პროგრესისთვის.

საკვანძო სიტყვები: ბანკი, ინვესტიციები, რისკები, ინოვაციები, სამართლებრივი რეგულირება.

¹ სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

Legal Regulation of Investment Activities in the Banking Sector

Tea Kvabziridze²

Abstract

The article discusses the core legal mechanisms established by the National Bank of Georgia, including investment limits and existing risk management standards. The study highlights the necessity for regulations to be dynamically adapted to global financial standards and the principles of sustainable development. Particular emphasis is placed on the role of digital platforms, which represent one of the key factors for the future development of banks' investment practices in Georgia. Granting credit institutions the right to place digital financial assets on investment platforms is viewed as a strategically important step toward ensuring their capitalization and further development. This would not only strengthen the financial stability of banks but also contribute to the innovative growth of the entire financial market.

The article reviews the legal regulation of investment activities in Georgia's banking sector, with a specific focus on its role in safeguarding financial stability, protecting the interests of depositors and investors, and preventing financial crime. The analysis reflects the historical development of regulation and the mechanisms introduced by the National Bank of Georgia, including investment limits and risk management standards. Special attention is devoted to the growing significance of digital financial assets and platforms, which are becoming strategic factors in shaping banks' investment practices and fostering innovative development within the financial market.

The study underlines the importance of dynamically aligning regulations with global standards and sustainable development principles, while at the same time ensuring a harmonious balance between banks' private interests and broader socio-economic goals.

This multidimensional approach contributes to a deeper understanding of how effective legal regulation can simultaneously ensure financial stability and foster innovative development, which is critically important for the sustainable progress of Georgia's banking sector.

Keywords: Bank, Investments, Risks, Innovations, legal regulation.

² Associate Professor of Law and International Relations Faculty of GTU Doctor of Economic Sciences

შესავალი

საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება წარმოადგენს მრავალმხრივ და კომპლექსურ სფეროს, რომლის მიზანია ფინანსური სისტემის სტაბილურობისა და მთლიანობის უზრუნველყოფა, დეპოზიტორებისა და ინვესტორების უფლებების დაცვა და ფინანსური დანაშაულის პრევენცია. ინვესტიციური საქმიანობის ეფექტური რეგულირება ხელს უწყობს საბანკო სექტორის მდგრად განვითარებას, აძლიერებს ფინანსურ სტაბილურობას და უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობას ფინანსურ ინსტიტუტებთან მიმართებაში.

საქართველოს მაგალითზე, ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან ქვეყნის საბანკო სისტემა სწრაფად ინტეგრირდება გლობალურ ფინანსურ ბაზრებში, რაც აუცილებელს ხდის რეგულაციების მუდმივ დინამიურ ადაპტირებას საერთაშორისო სტანდარტების, მდგრადი განვითარების პრინციპებისა და თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების შესაბამისად. ისტორიული კონტექსტის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, როგორ ჩამოყალიბდა სამართლებრივი ჩარჩო და როგორ გავლენას ახდენს ის ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე, რისკების მართვაზე და კაპიტალის ეფექტურ გამოყენებაზე.

სტატია მიმოიხილავს ეროვნულ სამართლებრივ მექანიზმებს, რისკების მართვის სტანდარტებს და ციფრული ფინანსური აქტივების როლს, რომელიც საქართველოს საბანკო სექტორის ინოვაციური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ძირითადი ნაწილი

საინვესტიციო საქმიანობა საბანკო სექტორში წარმოადგენს ფინანსური სექტორის განვითარების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს. თუმცა, იგი ასევე შეიცავს რისკებს, რომლებიც საჭიროებენ მკაცრ სამართლებრივ რეგულირებას. მოცემული პუბლიკაცია მიზნად ისახავს საქართველოს საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზს. განხილულია ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციები, როგორიცაა ბაზელ III და FATF-ის სტანდარტები,³ აგრეთვე

³ Basel Committee on Banking Supervision (BCBS) <https://surl.li/zevgzn> ბოლოს ნანახია 20.11.2025

საქარ-თველოს ეროვნული ბანკის როლი. ყურადღება გამახვილებულია არსებულ შეზღუდვებზე, რისკების მართვის მექანიზმებზე და იმ გამოწვევებზე, რომლებიც დაკავშირებულია რეგულაციის ეფექტიანობასთან.

საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება მრავალმხრივი სფეროა, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური სისტემის სტაბილურობისა და მთლიანობის უზრუნველყოფას, დეპოზიტორებისა და ინვესტორების დაცვას და ფინანსური დანაშაულის პრევენციას. საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის კონცეფციისა და სამართლებრივი რეგულირების გენეზისის გასაგებად საჭიროა საბანკო საქმიანობის განვითარების და მისი როლის ისტორიული ხედვის ანალიზი.

1930-იანი წლების დიდმა დეპრესიამ გამოავლინა არსებული მარეგულირებელი სისტემის ნაკლოვანებები და გამოიწვია საბანკო საქმიანობაზე მთავრობის კონტროლის მნიშვნელოვანი ზრდა. კერძოდ, მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც მიზნად ისახავდა ბანკების კომერციული და საინვესტიციო საქმიანობის გამიჯვნას (მაგალითად, გლას-სტიგალის აქტი შეერთებულ შტატებში). ამ ზომების მიზანი იყო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება და ბანკების საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შემცირება.⁴

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ფინანსური ბაზრების თანდათანობითი ლიბერალიზაცია და საბანკო მომსახურების სპექტრის გაფართოება მოხდა. სხვადასხვა ტიპის ფინანსურ ინსტიტუტებს შორის საზღვრები ბუნდოვანი გახდა. კომერციულმა ბანკებმა კვლავ დაიწყეს აქტიურად ჩართვა საინვესტიციო საქმიანობაში და თავიანთ კლიენტებს სთავაზობდნენ საინვესტიციო პროდუქტებისა და მომსახურების ფართო სპექტრს. ამ პერიოდში სამართლებრივი რეგულირება მიზნად ისახავდა უფრო მოქნილი და კონკურენტუნარიანი ფინანსური სისტემის შექმნას, ინვესტორების დაცვასა და ამას ახორციელებდა ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაზე ფოკუსირების პარალელურად.⁵

⁴ Calomiris, Charles W. (Year). U.S. Bank Deregulation in Historical Perspective. Cambridge: Cambridge University Press. Cambridge University Press in 2006 <https://www.cambridge.org> ბოლოს ნანახია 20.11.2025

⁵ F.S. Mishkin, *The Economics of Money, Banking and Financial Markets*, by Pearson in Hoboken, New Jersey, USA, 2022 <https://www.pearson.com> ბოლოს ნანახია 20.11.2025

საბანკო საქმიანობა საწყის ეტაპზე ძირითადად ფულის შენახვაზე, სესხების გაცემაზე და გადახდების განხორციელებაზე იყო ორიენტირებული. საინვესტიციო აქტივობა თანამედროვე გაგებით ასე არ იყო გამოხატული. თუმცა, ადრეულ ეტაპზე, ბანკებს უკვე შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სავაჭრო და სამრეწველო საწარმოების დაფინანსებაში, რაც შეიძლება ჩაითვალოს საინვესტიციო საქმიანობის დასაწყისად. იმ დროისთვის სამართლებრივი რეგულირება უფრო ფრაგმენტული იყო და ხშირად დაფუძნებული იყო საბაჟოებსა და ცალკეულ საკანონმდებლო აქტებზე.

ინდუსტრიულმა რევოლუციამ განვითარების გზაზე კაპიტალის საჭიროების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. ბანკების აქტიურობა გამოხატული იყო სამრეწველო საწარმოების დაფინანსების, გრძელვადიანი სესხების გაცემის და სააქციო კაპიტალში ინვესტიციების მიმართვისკენ. გაჩნდა სპეციალიზებული საინვესტიციო ბანკები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების განთავსებით და მსხვილი პროექტების დაფინანსებით იყვნენ დაკავებული. შესაბამისად, სამართლებრივი რეგულირება უფრო სისტემური გახდა, რაც მიზნად ისახავს დეპოზიტორების დაცვის მძლავრი გარანტიების შექმნას და ფინანსური სისტემის სტაბილურობის გაძლიერებას.

საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფა ხანგრძლივი და რთული პროცესია, რომელიც თავის თავში აერთიანებს საბანკო საქმიანობის ევოლუციას, რაც ასახავს ეკონომიკურ ცვლილებებს, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისა და ბაზრის ყველა მონაწილის ინტერესების დაცვის სურვილს. თანამედროვე გაგებით, სამართლებრივი რეგულირება სწორედ ამ ისტორიული განვითარების შედეგია და აგრძელებს ახალ გამოწვევებთან და შესაძლებლობებთან ადაპტაციის პროცესს.

საქართველოს საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების გენეზისი დაკავშირებულია დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის განვითარებასთან და გლობალურ ფინანსურ სისტემაში ინტეგრაციასთან.⁶ ამ

⁶ Washington, D.C. International Monetary Fund , <https://surl.li/iszsfy> ბოლოს ნანახია 20.11.2025

სფეროში საქართველოს კანონმდებლობა განვითარდა საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა მარეგულირებელი აქტების მიღება თანამედროვე სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ეტაპად იქცა.⁷

მიმდინარე ეტაპი ხასიათდება ფინანსური ბაზრების გლობალიზაციით, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით, რამაც ბუნებრივად გააჩინა ახალი ფინანსური ინსტრუმენტები. ბანკები იქცნენ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორებად და აქტიურად არიან ჩართულნი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასა და აქტივების მართვაში. სამართლებრივი რეგულირება ამ ეტაპზე ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რაც დაკავშირებულია რთული ფინანსური ინსტრუმენტების, საზღვრისპირა ტრანზაქციების და სისტემური რისკების რეგულირების საჭიროებასთან.⁸

საინვესტიციო სფეროში სამართლებრივი რეგულირების მიზანი არის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა. რეგულაციები თავისთავად მიზნად ისახავს სისტემური რისკის შემცირებას კაპიტალის ადეკვატურობის, ლიკვიდურობისა და რისკების მართვის წესების დადგენით, რომელსაც საბანკო სექტორში თავისი საზედამხედველო ფუნქციით ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.⁹

საქართველოში საბანკო სექტორის საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების ძირითადი წყაროებია:

1. „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
2. „საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტები და ინსტრუქციები.

⁷ ღურჯაია კლარა, „საბანკო რეგულირების გავლენა საბანკო კრიზისისა და კომერციული ბანკების ფინანსურ მაჩვენებლებზე“, სადისერტაციო ნაშრომი, <https://surl.li/vudddk> ბოლოს ნანახია 20.11.2025

⁸ Adrian, T., & Mancini-Griffoli, T. (2020). The Rise of Digital Money. International Monetary Fund. “International Monetary Fund – The Rise of Digital Money” IMF, <https://surl.li/occsjj> ბოლოს ნანახია 20.11.2025

⁹ ალიმ ხერხაძე „საქართველოს ფინანსური ბაზრების განვითარების პოტენციალი და შესაძლო ეფექტი“ ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“, ტომი 17, ნომერი 1(23), გვ. 152-165. გამოცემის 2022 წ., DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.23.09> ბოლოს ნანახია 20.11.2025

ეს რეგულაციები ქმნიან სამართლებრივ საფუძველს ბანკების მიერ ინვესტიციების განხორციელების ლიმიტირებისთვის, მიზნობრიობის განსაზღვრისთვის და ანგარიშვალდებულების დაწესებისთვის. დღეის მდგომარეობით, საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება მრავალდონიანია, რომელიც გამოხატულია შემდეგი სისტემით:

1. საკანონმდებლო აქტებში: ეროვნული კანონმდებლობის დონეზე განისაზღვრება ბანკების საინვესტიციო საქმიანობის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნები.
2. ცენტრალური ბანკებისა და მარეგულირებლების რეგულაციები: ცენტრალური ბანკები და სპეციალიზებული ფინანსური მარეგულირებლები შეიმუშავენ დეტალურ წესებსა და რეგულაციებს საინვესტიციო ოპერაციებთან, რისკების მართვასთან, კაპიტალის მოთხოვნებთან და ანგარიშგებასთან დაკავშირებით.
3. საერთაშორისო სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები: საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი, ავითარებენ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც ხელმძღვანელობას უწყვენ ეროვნულ მარეგულირებლებს.
4. თვითრეგულირება: საბანკო ასოციაციებსა და სხვა პროფესიულ ორგანოებს შეუძლიათ შეიმუშაონ საკუთარი ქცევის კოდექსები და შესრულების სტანდარტები.
5. მომხმარებელთა დაცვა: კანონები იცავს მომხმარებლებს უსამართლო ან მატყუარა პრაქტიკისგან და უზრუნველყოფს მათ წვდომას ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ მკაფიო ინფორმაციაზე.¹⁰

ეროვნული ბანკის რეგულაციის ძირითადი სფეროები არის:

- კაპიტალის მოთხოვნები: ბანკებს მოეთხოვებათ შეინარჩუნონ კაპიტალის გარკვეული დონე პოტენციური დანაკარგების ასატანად.
- ლიკვიდურობის მოთხოვნები: ბანკები უნდა ფლობდნენ საკმარისი ლიკვიდურ აქტივებს მოკლევადიანი ვალდებულებების შესასრულებლად.

¹⁰თ.კვაბზირიძე, ე.ბარათაშვილი, „სახელმწიფო ინვესტიციების საფინანსო-სამართლებრივი რეგულირება“ თბილისი, 2016

- რისკების მართვა: რეგულაციები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა ამოიცი-
ნონ, შეაფასონ და მართონ ბანკებმა სხვადასხვა რისკები, მათ შორის საკრე-
დიტო რისკი, საბაზრო რისკი და ოპერაციული რისკი.
- საინვესტიციო საქმიანობა: ბანკების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებ-
ის ტიპებს კონკრეტული წესები არეგულირებს, რათა მათ მიერ არ მოხდეს
გადაჭარბებული რისკების აღება. ეს შეიძლება მოიცავდეს შეზღუდვებს სა-
კუთრების უფლებით ვაჭრობასა და გარკვეული ტიპის ფონდებში ინვეს-
ტიციებზე.
- გამჟღავნების მოთხოვნები: ბანკები ვალდებული არიან, მარეგულირებელ
ორგანოებსა და საზოგადოებას გაუზიარონ შესაბამისი ინფორმაცია მათი
ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ.
- მმართველობა და შიდა კონტროლი: რეგულაციები ხშირად განსაზღვრავს
ბანკებში კორპორაციული მმართველობის სტრუქტურებისა და შიდა კონ-
ტროლის მექანიზმების მოთხოვნებს.
- ფულის გათეთრების (AML) და ტერორიზმის დაფინანსების (CFT) წინააღმ-
დეგ ბრძოლა: ბანკებმა უნდა დანერგონ პროცედურები მომხმარებელთა სა-
თანადო შემოწმების, ტრანზაქციების მონიტორინგისა და საექვო საქმიანო-
ბის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის.¹¹

აქვე აღსანიშნავია „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“
საქართველოს კანონი, რომლის დებულებებით გათვალისწინებული მექანიზმების
გამოყენება ახდენს ფინანსური დანაშაულის პრევენციას, ვინაიდან ეს მიმართულე-
ბა არის კომპლექსური და სწრაფად განვითარებადი სფერო და მოითხოვს მუდმივ
ადაპტაციას ახალ რისკებთან და ტექნოლოგიებთან.¹²

საინვესტიციო აქტივობა ბანკებისთვის, ეს არის ბანკების მიერ განხორციელე-
ბული საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური რესურსების გამოყენებას
შემოსავლის მიღების, რისკების მართვისა და კაპიტალის ზრდის მიზნით. ამ

¹¹ “ეროვნული ბანკის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი. <https://matsne.gov.ge/> ბოლოს ნანახია 20.11.2025

¹² „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის“ შესახებ საქართველოს კანონი <https://matsne.gov.ge/> ბოლოს ნანახია 20.11.2025

თვალსაზრისით, სწორედ საკონონმდებლო რეგულაციები ქმნის ტოლფასი პირობების და ინოვაციების წახალისების შესაძლებლობებს საბანკო სექტორში. ეს თავის მხრივ გულისხმობს თანაბარ შესაძლებლობებს დაცულ გარემოში რისკების შესაფასებლად, რაც მნიშვნელოვანია ინფორმირებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად.

სამართლიანი კონკურენცია საინვესტიციო ბაზარზე არის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს საინვესტიციო გარემოში ეფექტურ ფუნქციონირების შესაძლებლობას, წარმოშობს ინოვაციებს, ინვესტორების დაცვასა და ეკონომიკურ ზრდას.¹³ ის გულისხმობს ისეთ გარემოს შექმნას, სადაც ყველა მონაწილეს (როგორც მსხვილ, ისე მცირე ინვესტორებს, ფინანსურ ინსტიტუტებსა და საბროკერო კომპანიებს) აქვს თანაბარი შესაძლებლობები კონკურენციისთვის და არ არსებობს ხელოვნური ბარიერები ან არაკეთილსინდისიერი პრაქტიკა.¹⁴

სამართლიანი კონკურენციის ძირითადი ასპექტები საინვესტიციო ბაზარზე გამოხატულებას პოვებს:

- **თანაბარი სათამაშო მოედანი:** ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს წვდომა ერთსა და იმავე ინფორმაციაზე და არ უნდა არსებობდეს რაიმე სახის პრივილეგიები ან დისკრიმინაცია.
- **გამჭვირვალობა:** საინვესტიციო პროდუქტებისა და სერვისების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს მკაფიო, ზუსტი და ადვილად გასაგები ყველა პოტენციური ინვესტორისთვის. ეს ხელს უწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.
- **აკრძალული პრაქტიკები:** კანონით უნდა იყოს აკრძალული ისეთი არაკეთილსინდისიერი პრაქტიკები, როგორიცაა ინსაიდერული ვაჭრობა, ბაზრის მანიპულირება, თაღლითობა და შეცდომაში შემყვანი რეკლამა.
- **ეფექტური რეგულირება და ზედამხედველობა:** მარეგულირებელი ორგანოები უნდა უზრუნველყოფდნენ კანონების დაცვას და მონიტორინგს უწევდნენ ბაზრის მონაწილეებს, რათა თავიდან აიცილონ დარღვევები და დაიცვან ინვესტორების ინტერესები.

¹³ M. E. Porter, Competition Assessment Toolkit. (1980) <https://surl.li/enyqey> ბოლოს ნანახია 20.11.2025

¹⁴ OECD (2021) <https://www.oecd.org/en.html> ბოლოს ნანახია 20.11.2025

- **კონკურენციის ხელშემწყობი გარემო:** არ უნდა არსებობდეს ხელოვნური ბარიერები ახალი მოთამაშეების ბაზარზე შესვლისთვის, რაც ხელს უწყობს ინოვაციებსა და ფასების კონკურენციას.
- **ინვესტორების დაცვა:** მარეგულირებელმა ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს ინვესტორების უფლებების დაცვა და მათთვის ეფექტური მექანიზმების არსებობა დავების გადასაწყვეტად.

საინვესტიციო ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის აუცილებლობა გამოწვეულია შემდეგი მიზეზების გამო:

- **ეფექტური ფასების დადგენა:** კონკურენცია ხელს უწყობს აქტივების რეალური ღირებულების ასახვას ფასებში.
- **ინოვაციების სტიმულირება:** კონკურენტული გარემო აიძულებს ფინანსურ ინსტიტუტებსა და საბროკერო კომპანიებს შესთავაზონ უკეთესი პროდუქტები და სერვისები.
- **ინვესტორების ნდობის ამაღლება:** როდესაც ინვესტორები გრძნობენ, რომ ბაზარი სამართლიანია, ისინი უფრო მეტად არიან მიდრეკილნი ინვესტიციების განხორციელებისკენ.
- **ეკონომიკური ზრდა:** ჯანსაღი საინვესტიციო ბაზარი ხელს უწყობს კაპიტალის ეფექტურ განაწილებას და ეკონომიკურ ზრდას.¹⁵

საქართველოში საინვესტიციო ბაზრის სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია რამდენიმე ორგანო, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტები. მიმდინარეობს მუდმივი მუშაობა მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესებაზე, რათა შეიქმნას უფრო გამჭვირვალე, ეფექტური და სამართლიანი საინვესტიციო გარემო.¹⁶ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სამართლიანი კონკურენცია არ ნიშნავს გარანტირებულ მოგებას ყველა ინვესტორისთვის, არამედ გულისხმობს თანაბარ შესაძლებლობებს დაცულ გარემოში

¹⁵ Ibid. M. E. Porter, (1980)

¹⁶ Objectives and Principles of Securities Regulation. NBG. (2023) <https://surl.li/litsdc> ბოლოს ნანახია 20.11.2025

რისკების შესაფასებლად და ინფორმირებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად.

საინვესტიციო საბანკო საქმიანობა საქართველოში, როგორც ფასიანი ქაღალდების ანდერრაიტინგული მომსახურება და შერწყმისა და შესყიდვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ასევე ექვემდებარება მარეგულირებელ ზედამხედველობას. ამ მომსახურების მიმწოდებელი სუბიექტები, როგორც წესი, საჭიროებენ ლიცენზირებას და ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებულ რეგულაციებს.

ფასიანი ქაღალდების რეგულაციებში ბოლო დროს განხორციელებული რეფორმები, სავალდებულო საპენსიო სქემის შემოღება და საინვესტიციო ფონდებისა და დაფარული ობლიგაციების შესახებ კანონები ხელს უწყობს ამ სექტორის ზრდას.

ბანკები ფინანსურ სისტემაში ძირითადი შუამავლები არიან, რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალის გადანაწილებას მეანაბრეებიდან ინვესტორებზე. მათი აქტიური საინვესტიციო საქმიანობა ხელს უწყობს ეკონომიკის რეალური სექტორის დაფინანსებას, ახალი საწარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნას, რაც პირდაპირ ახდენს გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე.¹⁷

საბანკო ინვესტიციები შეიძლება მიმართული იყოს აქტუალური სოციალური მნიშვნელობის მქონე პროექტებისკენ, როგორცაა ინფრასტრუქტურის განვითარება, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და სხვა. ეს ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და სოციალური დამაბულობის შემცირებას.

სახელმწიფო დაინტერესებულია საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებით და მოუწოდებს ბანკებს თავისი საინვესტიციო გეგმებისა და პროგრამების განსახორციელებლად. საინვესტიციო ინტერესების მოზიდვისთვის აუცილებელია ხელსაყრელი პირობებისა და სტიმულების შექმნა, რაც ასევე გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოთი.¹⁸

გლობალური ეკონომიკა მუდმივად იცვლება, ჩნდება ახალი ფინანსური ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები. მარეგულირებელი გარემო უნდა იყოს მოქნილი

¹⁷ საქართველოს კანონი "კომერციული ბანკების შესახებ" <https://matsne.gov.ge/>, ბოლოს ნანახია 20.11.2025

¹⁸ საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშები და რეგულაციები (www.nbg.gov.ge), ბოლოს ნანახია 20.11.2025

და სწრაფად რეაგირებდეს ამ ცვლილებებზე, რაც უზრუნველყოფს როგორც ბანკების მიერ საინვესტიციო აქტივობის სტიმულირებას, ასევე პოტენციური რისკების მინიმიზაციას.

საინვესტიციო აქტივობის ზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს საბანკო სექტორის მომგებიანობის, მდგრადობის და ბანკების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ მას უფრო მიმზიდველს ხდის, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორებისთვის.¹⁹

ბანკების საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების სფეროში საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა ხელს შეუწყობს ეროვნული ფინანსური სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესებას.²⁰

ამრიგად, კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს ბანკების საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირების პრობლემებისა და პერსპექტივების იდენტიფიცირებას და მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებას, უაღრესად აქტუალურია და მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება აქვს ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის შესწავლა მოითხოვს სპეციალური ტერმინოლოგიის სწორ გამოყენებას. მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს ისეთი ცნებების სამართლებრივ განმარტებებს, როგორიცაა „ინვესტიციები საბანკო სექტორში“ „საინვესტიციო საქმიანობა საბანკო სექტორში“. აღსანიშნავია საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების არსებული გაურკვეველობა.

„საბანკო სექტორში ინვესტიციების“ კონცეფცია - ეს არის სამოქალაქო უფლებების ობიექტები, რომლებსაც აქვთ ფულადი ღირებულება, რომლებშიც ბანკები ინვესტირებენ საბანკო ოპერაციების შესრულებით მოგების მისაღებად და კიდევ სხვა სასარგებლო ეფექტის მისაღწევად, რაც აუცილებელია საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებისთვის. საბანკო სექტორში ინვესტიციების ძირითადი მახასიათებლები: საბანკო ოპერაციები (ოპერაციები ფინანსურ ბაზრებზე,

¹⁹ „ეროვნული ბანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი (<https://matsne.gov.ge/>), ბოლოს ნანახია 20.11.2025

²⁰ Basel Committee on Banking Supervision. (2011). Basel III: A global regulatory framework for more resilient banks and banking systems <https://www.bis.org/bcbs/basel3.htm?m=76> ბოლოს ნანახია 20.11.2025

კაპიტალის მოზიდვა და განთავსება და ა.შ.) არის საბანკო სექტორში სამოქალაქო უფლებების ობიექტების ინვესტირების იურიდიული ფორმა; სამოქალაქო უფლებების ობიექტების ინვესტირება ხორციელდება საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების ინტერესებიდან გამომდინარე.²¹

საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობა განსაკუთრებულად ხაზს უსვამს, რომ საინვესტიციო საქმიანობა არ არის ბანკების მეორადი ფუნქცია, არამედ ის წარმოადგენს კონკრეტულ მიმართულებას, რომელიც სპეციალურ სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვს.

სამოქალაქო უფლებების ობიექტების ინვესტირება მოიცავს შესაძლო ინვესტიციების ფართო სპექტრს, მათ შორის, როგორც მატერიალურ აქტივებს ეკონომიკის რეალურ სექტორში (მაგალითად, პროექტის დაფინანსება, აქციების შეძენა), ასევე ფინანსურ აქტივებს (ფასიანი ქაღალდები, ფულის ბაზრის ინსტრუმენტები).

ფოკუსირება უნდა მოხდეს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ჰარმონიული ბალანსის მიღწევაზე: აღნიშნული ამ განმარტების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ეს ასახავს ბანკების საინვესტიციო საქმიანობის ორმაგ ბუნებას:

კერძო ინტერესები, რომელიც მიმართულია მოგების მიღებასა და სხვა სასარგებლო ეფექტების მიღწევაზე (მაგ., მომხმარებელთა ბაზის გაფართოება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა) და საზოგადოებრივი ინტერესები, რომელიც მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაზე, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაზე, სამუშაო ადგილების შექმნასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.²²

ფორმულირება „ჰარმონიული ბალანსის“ მიღწევა მთავარია, რადგან ეფექტური სამართლებრივი რეგულირება უნდა უზრუნველყოფდეს იმას, რომ ბანკების მოგების მიღების სურვილი არ ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. პირიქით, მან უნდა შექმნას გარემო, რომელთა პირობებშიც ბანკების კერძო საინვესტიციო საქმიანობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალურად

²¹М. Кырлан, Правовое регулирование инвестиционной деятельности в банковской сфере: вопросы совершенствования понятийного аппарата 2018. – № 8 А. Том 8. – С. 114-124. – ISSN 2222-5129.

²²ხ. ბარბაქაძე „ფინანსური სისტემა და რეგულირება“, თბილისი 2023, გვ 72

მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევაში. ეს მოსაზრება ასახავს სამართლებრივი რეგულირების მიზანს, რომელიც მიმართულია ეკონომიკური აქტორების ინტერესების და საზოგადოების საერთო კეთილდღეობას შორის „ჰარმონიული ბალანსის“ შექმნისაკენ.

ამდენად, საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის გაგების შემოთავაზებული მიდგომა კარგი საწყისი წერტილია სპეციალური სამართლებრივი რეგულაციის შემუშავებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მის განვითარებას. ეს ადგენს სწორ ვექტორს, რომელიც კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიზაციისკენ არის მიმართული.

დასკვნა

საკრედიტო ინსტიტუტების საინვესტიციო საქმიანობის სფეროში ძირითადი ცნებების განსაზღვრა წარმოადგენს მნიშვნელოვან სამართლებრივი და ეკონომიკური ჩარჩოს ჩამოყალიბების საფუძველს. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ბანკების კერძო ინტერესების რეალიზებასა და მათ ეკონომიკურ სტიმულირებას, ასევე უზრუნველყოფს საზოგადოებრივი საჭიროებებისა და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების დაცვას. სწორედ აღნიშნული ჰარმონიული ბალანსი ქმნის იმ სტაბილურ საფუძველს, რომელზეც შეიძლება დაფუძნებული იყოს ფინანსური სისტემის მდგრადი და გრძელვადიანი განვითარება.

ცნებების სტანდარტიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როცა საბანკო სექტორი დინამიურად ერგება გლობალურ სტანდარტებსა და ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას. ერთი მხრივ, ბანკების კერძო საინვესტიციო მოტივები: შემოსავლის ზრდა, პორტფელის დივერსიფიკაცია, ინოვაციური პროდუქტების განვითარება - საჭიროა ეკონომიკური აქტიურობისა და კონკურენტუნარიანობისთვის; მეორე მხრივ, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესები, რაც მოითხოვს სისტემურ მიდგომას, მდგრადობასა და სამართლიან წვდომას ფინანსურ სერვისებზე. ამ ორი მიზნის „ბალანსის მიღწევა“ არა მხოლოდ ნორმატიული პრინციპია, არამედ რეგულირების ხარისხის პრაქტიკული საზომი.

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილი ცნებების სისტემატიზაცია და „ბალანსის“ პრინციპზე დამყარებული ნორმატიული ლოგიკა ქმნის მდგრადობისთვის აუცილებელ საფუძველს: კერძო სტიმულები კი არ ეწინააღმდეგება სოციალურ მიზნებს, არამედ გარდაიქმნება საერთო კეთილდღეობის გამზრდელ ძლიერ ეკონომიკურ ვექტორად.

საბანკო სექტორში საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების განვითარებისთვის სამომავლოდ მნიშვნელოვანი იქნება ისეთი საკითხების სიღრმისეული შესწავლა, რომლებიც ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებთან არის დაკავშირებული. ყურადღება უნდა გამახვილდეს ციფრული ფინანსური აქტივების როლზე და მათ გავლენაზე ბანკების კაპიტალის სტაბილურობასა და ბაზრის მდგრადობაზე; რეგულაციების პროპორციულობაზე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ინსტიტუტების მიმართ; მდგრადი განვითარების პრინციპების (ESG) ინტეგრაციაზე საინვესტიციო პოლიტიკაში, რომელიც ხელს შეუწყობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას ადგილობრივ კონტექსტში.

ამგვარი კვლევითი მიმართულებები შექმნის მყარ საფუძველს ისეთი რეგულაციების შემუშავებისთვის, რომლებიც დაიცავს როგორც ფინანსური სექტორის სტაბილურობას, ისე საზოგადოების ეკონომიკურ ინტერესებს და უზრუნველყოფს ინოვაციური განვითარების შესაძლებლობებს.

ბიბლიოგრაფია

- ბარბაქაძე, ხ. „ფინანსური სისტემა და რეგულირება“, თბილისი, 2023.
- დავითაია „ფინანსური ბაზრების გლობალიზაციისა და ინოვაციური ინსტრუმენტების გავლენა“, თბილისი, 2017.
- ზესაშვილი, ვ. „საბანკო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ისტორიული გამოცდილება და პერსპექტივები“, საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2008.
- ღურწკაია, კლარა „საბანკო რეგულირების გავლენა სავაჭრო ბანკებზე“, თბილისი, 2018.
- ღურწკაია, კლარა „საბანკო რეგულირების გავლენა საბანკო კრიზისსა და კომერციული ბანკების ფინანსურ მაჩვენებლებზე“, სადისერტაციო ნაშრომი, 2018, <https://surl.li/egcdcd>, ბოლოს ნანახია 20.11.2025
- კვაბზირიძე, თ., ე. ბარათაშვილი და სხვ. „სახელმწიფო ინვესტიციების საფინანსო –სამართლებრივი რეგულირება“, თბილისი, 2016.
- ხერხაძე, ა. „საქართველოს ფინანსური ბაზრების განვითარების პოტენციალი და შესაძლო ეფექტი“, ეკონომიკური პროფილი, ტ. 17, №1(23), 2022, <https://doi.org/10.52244/ep.2022.23.09>
- “ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

- „საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი.
- „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ საქართველოს კანონი. საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშები და რეგულაციები (www.nbg.gov.ge)
- ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტები და ინსტრუქციები (www.nbg.gov.ge)
- Adrian, T., & Mancini-Griffoli, T. (2020). The Rise of Digital Money. International Monetary Fund. “International Monetary Fund – The Rise of Digital Money” IMFh, <https://surl.li/decbnv>, ბოლოს ნანახია 20.11.2025
- Basel Committee on Banking Supervision (BCBS). Basel III: A global regulatory framework for more resilient banks and banking systems, 2011.
- Calomiris, Charles W. U.S. Bank Deregulation in Historical Perspective. Cambridge: Cambridge University Press, 2006.
- Competition Assessment Toolkit. Porter, M.E. (1980)
- International Monetary Fund (IMF). The Rise of Digital Money, 2020.
- IMF. Country Report 2015. <https://surl.li/qliado>, ბოლოს ნანახია 20.11.2025
- Mishkin, F.S. The Economics of Money, Banking and Financial Markets. Pearson, Hoboken, New Jersey, USA, 2022. Objectives and Principles of Securities Regulation. NBG. (2023) <https://surl.li/fzsjee>, OECD. 2021. <https://www.oecd.org/en.htm>, ბოლოს ნანახია 20.11.2025
- Porter, M. E. Competitive Strategy. Extract, 1980.
- Basel Committee on Banking Supervision (BCBS). Regulatory publications <https://surl.li/xakzvm>
- Competition Assessment Toolkit. OECD.
- New Yorker Magazine. "Can We Have Prosperity Without Growth?", 2020.
- Кырлан, М. Правовое регулирование инвестиционной деятельности в банковской сфере.
- Understanding Fair Competition In The Financial Services Industry, <https://surl.li/cc/ozvsap>, ბოლოს ნანახია 20.11.2025
- International Monetary Fund, <https://www.imf.org>, ბოლოს ნანახია 20.11.2025
- FasterCapital, <https://fastercapital.com>, ბოლოს ნანახია 20.11.2025
- ელ. რესურსი, <https://www.newyorker.com>, ბოლოს ნანახია 20.11.2025